



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სახელმწიფო საქმეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის,
ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

0117, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15

№ 02-7-05/16

„ 08 “ ივნისი 2000 წ.

Tel: (+995 32) 394 120

Fax: (+995 32) 392 258

Tel/Fax: (+995 32) 397 069

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების
ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ქ-ნ ეკა ურუშაძეს

ასლი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ალექსანდრე ცინცაძეს

ქალბატონო ეკა,

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ
სამსახურში განხილულ იქნა 2009 წლის 23 დეკემბრის თქვენი წერილი №1-787,
(საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარეგისტრაციო №581/9,
23.12.09 წ.) რომელის შეეხებოდა „ქარაქის“ დასახელებით რეალიზებულ სურსათს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სურსათის მარკირებისას
„ქარაქი“ უნდა მიეთითოს ისეთ პროდუქტს, („კოდექს სტანდარტი ქარაქისათვის“ -
CODEX STAN A-1- 1971, Rev. 1-1999, Amended in 2003 and 2006) რომელშიც რძის ცხიმის
მინიმალური შემცველობა არის 80%.


სახელმწიფო სტანდარტის „ქარაქი ძროხის“ (გოსტ 37-91) მიხედვით, „ქარაქი“-თ
მარკირდება მხოლოდ ძროხის რძის ცხიმის 71,5%-დან 82,5%-მდე შემცველი
სურსათი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „სტანდარტიზაციის შესახებ“ და „პროდუქციისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სტანდარტების გამოყენება სავალდებულო არ არის, მენარმე უფლებამოსილია თავის საქმიანობისათვის ისარგებლოს საკუთარი „მენარმის სუბიექტის სტანდარტით“, რომელიც დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ. თუ აღნიშნული სტანდარტით გათვალისწინებულია კომბინირებულ ჯარაქში გარკვეული პროცენტული შემცველობით მცენარეული ცხიმის არსებობა, სურსათის შემადგენლობის (მ.შ. ცხიმების შემცველობის) ეტიკეტზე მითითების შემთხვევაში, აღნიშნული სურსათის „ჯარაქის“ დასახელებით წარმოება-რეალიზაციის არ ჩაითვლება ფალსიფიკაციის ფაქტად.

რაც შეეხება, სავაჭრო ქსელში ფალსიფიცირებული სურსათის, ან ასეთის არსებობაზე დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, მომხმარებელმა ან არასამთავრობო ორგანიზაციამ შესაძლებელია მიმართონ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს (საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ მუხლი 29, პუნქტი 2.) ან წარადგინონ სარჩელი სასამართლოში (საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მუხლი 34).

პატივისცემით

მაია მეტრეველი



სამსახურის უფროსი